საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრანჟე ლუი

გრანჟე (Granger) ლუი (XVII ს.), ფრანგი მისიონერი, იეზუიტთა ორდენის წევრი.

გ. 1614, სტამბოლში მოღვაწე საფრანგეთის ელჩის ხელშეწყობით, გამოემგზავრა სამეგრელოში კათოლიკობის გასავრცელებლად. მოგზაურობის ანგარიშში, რ-იც მან 1615 მოქვიდან იეზუიტების ორდენის გენერალს კლავდიო აკვავივას გაუგზავნა, აღწერილია შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ეთნ. შემადგენლობა სტამბოლიდან გურიამდე, ის ენები, რ-ზეც იმ დროს მეტყველებდა ეს მოსახლეობა; გურიისა და სამეგრელოს მთავრებთან შეხვედრები და ამ შეხვედრისას ადგილ. ფეოდ. და სას. არისტოკრატიასთან წამოჭრილი სასაუბრო თემები (უპირატესად სარწმუნოების საკითხებზე). აღწერილია აგრეთვე შეხვედრა დას. საქართველოში მყოფ კახეთის მეფე თეიმურაზ I-თან, რ-საც გ. „თებრიზ-ხანს" უწოდებს.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; П о л и е в к т о в М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

გ. ჟორდანია